



KA

თითის ანაბეჭდები და „ევროდაკი“

ევროკავშირის N. 603/2013 რეგლამენტის 29 მუხლის 3 ნაწილით დადგენილი ინფორმაცია, რომელიც განკუთვნილია მესამე ქვეყნის მოქალაქეებისათვის ან მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომლებიც, როგორც დადგენილია უკანონოდ არიან ქვეყანაში

თუ დადგინდებდა, რომ უკანონოდ ხართ ქვეყანაში, რომელშიც მოქმედებს დუბლინის რეგლამენტი¹⁾, სახელმწიფო ინსტიტუციამ თქვენგან შესაძლოა აიღოს თითის ანაბეჭდები, რომელიც შემდგომში გადაეცემა თითის ანაბეჭდების მონაცემთა ბაზას ევროდაკს. ეს კეთდება მხოლოდ იმისთვის, რომ დადგინდეს, მოითხოვთ თუ არა ადრე სადმე თავშესაფარი. ანაბეჭდები არ იქნება დაცული ევროდაკის ბაზაში. მაგრამ თუ თქვენ ადრე მოთხოვნილი გაქვთ თავშესაფარი სხვა ქვეყანაში, მაშინ შესაძლოა თქვენ გადაქცენ იმ ქვეყანას.

თუ თქვენი თითის ანაბეჭდი იქნება უხარისხო და იმ შემთხვევაში, თუ განზრახ დაიზიანეთ თითი, მაშინ შესაძლებელია ანაბეჭდები მომავალში განმეორებით იქნას აღებული.

„ევროდაკს“ მართავს და აწესრიგებს ევროკავშირის სააგენტო, რომელსა ეწოდება „eu-LISA“. თქვენი მონაცემების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ სამართლებრივ აქტებში გათვალისწინებული მიზნებისთვის. თქვენი მონაცემები გადაეცემა მხოლოდ „ევროდაკი“-ს ცენტრალურ სისტემას. თუ მომავალში თქვენ მოითხოვთ თავშესაფარს დუბლინის რეგლამენტის რომელიმე ქვეყანაში, თქვენგან კვლავ იქნება აღებული თითის ანაბეჭდები, რათა გადაგზავნილი იქნას შესამოწმებლად „ევროდაკი“-ში. „ევროდაკი“-ში დაცული მონაცემები არ იქნება მიწოდებული არც ერთი სისტემისთვის, რომელიც არ მიეკუთვნება დუბლინის სისტემის ქვეყანას და ორგანიზაციას.

1) ეს ქვეყნებია: ირლანდია, ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, საბერძნეთი, ესპანეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო, კვიპროსი, ხორვატია, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, ლუქსემბურგი, მალტა, ჰოლანდია, პორტუგალია, საფრანგეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ფინეთი, შვედეთი, უნგრეთი, გერმანია და დუბლინის რეგლამენტთან ასოცირებული 4 ქვეყანა ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია

©European Union 2014

Reproduction is authorised. For any use or reproduction of individual photos, permission must be sought directly from the copyright holders.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ევროდაკის მონაცემების
მაკონტროლებლის მისამართი:

შინაგან საქმეთა
სამინისტროსთან არსებული
მიგრაციის დეპარტამენტი
ლ. საპიეგოს ქ. N 1,
10312 ვილნიუსი
ტელ. +370 5 271 7112
ელ.ფოსტა: md.rastine@vrm.lt
<http://www.migracija.lt>

ნაციონალური
ზედამხედველობის
ინსტიტუციის (მონაცემთა დაცვა)
მისამართი:

მონაცემთა დაცვის
სახელმწიფო ინსპექცია
ა. იუოზაპავიჩიაუსის ქ. N 6,
09310 ვილნიუსი
ტელ. +370 5 271 2804,
+370 5 279 1445
ელ.ფოსტა: ada@ada.lt
<http://www.ada.lt>

თუ ჩვენი ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ შესაძლოა თქვენ მოთხოვნილი გაქვთ საერთაშორისო დაცვა სხვა ქვეყანაში, რომელიც შეიძლება პასუხისმგებელი იყოს თქვენი თხოვნის განხილვაზე, მაშინ თქვენ ვრცლად მიიღებთ ინფორმაციას შემდგომ პროცედურაზე და იმაზე თუ როგორ იმოქმედებს ეს თქვენს უფლებებზე.



„მე შემიფარდა
დუბლინის პროცედურა,
რას ნიშნავს ეს?“

ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის
მოხილვისათვის, რომელთაც შეეფარდათ
დუბლინის პროცედურა ცროკეთის რეგულაციის
N 604/2013 4 მუხლით.

